

27 ოქტომბერი, 2015

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
კერძო საჩივრის ავტორი:
ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას (ს/კ 204952676)
აღმასრულებელი დირექტორის
ნინო გუჯარაიძის (პ/ნ 01015010047)

კერძო საჩივარი

გასაჩივრებული განჩინება: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 13 ოქტომბრის განჩინება (საქმე 3/6679-15).

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით (საქმე 3/6679-15) ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე, რომლის მოთხოვნას წარმოადგენდა – საქართველოს მთავრობას, სს“სახელმწიფო ელექტროსისტემას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და სს“ონი კასკადს“ შორის 2015 წლის 16 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ბათილად ცნობა.

გასაჩივრებული განჩინებით ირკვევა:

ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 აგვისტოს განჩინებით მოსარჩელე მხარეს დაუდგინდა ხარვეზის სახით, გასაჩივრებული და საქმეში წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, სს “სახელმწიფო ელექტროსისტემას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და სს “ონი კასკადს“ შორის 2015 წლის 16 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის წარმოდგენა ნათარგმნი სახით სახელმწიფო ენაზე და დამოწმებული სათანადო წესით.

ბ) 2015 წლის 10 სექტემბერს მოსარჩელე ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს, მოითხოვა სარჩელის წარმოებაში მიღება და განმარტა, რომ სარჩელის წარმოდგენის მიზეზი გახდა სწორედ ის გარემოება, რომ ქართულ ენაზე სადავო ხელშეკრულება საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში არ მოიპოვება.

გ) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 15 სექტემბრის განჩინებით მოსარჩელეს განჩინების სამოტივაციო ნაწილში აღწერილი ხარვეზის (2015 წლის 16 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის წარმოდგენა ნათარგმნი სახით

სახელმწიფო ენაზე და დამოწმებული სათანადო წესით) შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა გაუგრძელდა 7 დღის ვადით და განემარტა, რომ მოსარჩელე ვალდებულია დააკმაყოფილოს სარჩელის სასამართლოში წარმოდგენის ფორმალური კრიტერიუმები და წარმოადგინოს სახელმწიფო ენაზე ნათარგმნი და სათანადო წესით დამოწმებული გასაჩივრებული საქართველოს მთავრობას, სს „სახელმწიფო ელექტროსისტემას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და სს“ონი კასკადს“ შორის 2015 წლის 16 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი. .

დ) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 15 სექტემბრის განჩინება ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების შესახებ ჩაბარდა ორგანიზაციის წარმომადგენელს ნათია ქსოვრელს ფოსტის საშუალებით, განჩინების ჩაბარებიდან სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში მოსარჩელე მხარემ ხარვეზი არ შეავსო და არც ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების შუამდგომლობით არ მიუმართავს სასამართლოსთვის, რის გამოც სასკ-ის პირველი, მე-12, მე-13 მუხლების, სსსკ-ის 59-ე, მე-60, 61-ე, 447-ე, 177-ე მუხლის მესამე ნაწილი, 178-ე, 284-285-ე მუხლების საფუძველზე სასამართლოს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე.

საქალაქო სასამართლოს მიერ წინამდებარე განჩინება გამოტანილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის ა”, “ბ”, “გ” და 394-ე მუხლის “ე” პრიმა, 285-ე მუხლის “ე” ქვეპუნქტების დარღვევით. კერძოდ: სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

1. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. კერძოდ: „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვით, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას . . . ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. აღნიშნული საერთაშორისო აქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პროცესის მონაწილეებისათვის, ისევე როგორც საზოგადოებისათვის, ნათელი უნდა იყოს განსჯის ის პროცესი, რომელიც სასამართლომ გაიარა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე. გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს სასამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რომლებმაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია. სასამართლო დაცვის უფლების განხორციელება უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ყველას შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფას. იგივე უფლებები

გამყარებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით, რომელიც თავისი შინაარსით გუსლიხმობს არა მხოლოდ უფლების დასაცავად სასამართლოსათვის მიმართვის გარანტიას, არამედ სამართლიანი, გამჭვირვალე სასამართლოს უფლებას. გასაჩივრებული განჩინებით დასტურდება, რომ სასამართლომ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე სრულიად უსაფუძვლოდ გვითხრა უარი, რის გამოც მიგვაჩნია, რომ ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას სარჩელთან დაკავშირებით ადგილი აქვს სასამართლოს მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებაზე უკანონოდ უარის თქმის ფაქტს, რითაც უხეშად დაირღვა „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის ფუძემდებლური დებულებები.

2. სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა - სასამართლომ გამოიყენა სსსკ-ის 447-ე, 177.3 და 178-ე მუხლები, რომლებიც არ უნდა გამოეყენებინა, ვინაიდან განსახილველ შეთხვევაში არ არსებობდა წინამდებარე სარჩელზე ხარვეზის დადგენის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წინაპირობები. კერძოდ, სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინებით დადგენილი ხარვეზი არ გამომდინარეობს როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობიდან და ადასტურებს იმ გარემოებას, რომ სასამართლომ ზერელედ, ზედაპირულად შეისწავლა წინამდებარე სარჩელი და თანდართული მტკიცებულებები, ვინაიდან საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით (საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს წერილი) დადასტურებულია, რომ ქართულ ენაზე შესრულებული სადავო ადმინისტრაციული ხელშეკრულება სამინისტროში არ მოიპოვება. გასაჩივრებული ხელშეკრულების თანახმად (სასამართლოს წარედგინა აღნიშნული ხელშეკრულების პირველი და ბოლო გვერდების ქართულ ენაზე შესრულებული ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი 2015 წლის 10 სექტემბერს) კი უდავოდ დასტურდება, რომ საქართველოს მთავრობას, სს „სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ და სს „ონის კასკადს“ შორის 2015 წლის 16 ივლისს დადებული ხელშეკრულება შედგენილია მხოლოდ ინგლისურ ენაზე. საგულისხმოა, რომ სასამართლო გასაჩივრებულ განჩინებაში საერთოდ არ მოიხსენიებს მოსარჩელის მიერ ხარვეზის შევსების მიზნით სასამართლოში წარდგენილ მტკიცებულებას - სადავო 2015 წლის 16 აგვისტოს ხელშეკრულების ქართულ თარგმანს (პირველი და ბოლო გვერდები). მაშასადამე, საქმის არასრული შესწავლის შედეგად სასამართლოს მიერ მიღებულია არასწორი, უკანონო გადაწყვეტილება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც უნდა გაუქმდეს.

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - სასკ-ის მე-4, მე-19 მუხლები, სზაკ-ის მე-14 მუხლი. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად არის დადასტურებული, რომ სადავო ადმინისტრაციული ხელშეკრულება საქართველოს და საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს შორის დადებულია მხოლოდ ინგლისურ ენაზე, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება სზაკ-ის მე-14 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, რომლის თანახმად ადმინისტრაციული წარმოების ენაა ქართული, ხოლო აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზური. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოს სასკ-ის მე-4, მე-19 მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით ინკვიზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე თვით

უნდა მიეღო გადაწყვეტილება მოპასუხისათვის გასაჩივრებული ადმინისტრაციული ხელშეკრულებისა და ამ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების გამოთხოვის შესახებ. ნაცვლად ამისა, სასამართლომ „მოძებნა იოლი“ გამოსავალი და მიიღო არასწორი, უკანონო გადაწყვეტილება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც უნდა გაუქმდეს. სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელებაზე უკანონოდ უარის თქმა ხელს უწყობს საქართველოს მთავრობასა და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს შორის ადმინისტრაციული ხელშეკრულებების არასწორად დადებას (სავარაუდოდ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებაც) მხოლოდ ინგლისურ ენაზე, რაც კანონსაწინააღმდეგოა და დაუშვებელი.

სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ბათილად ცნობას მოვითხოვთ სწორედ იმ საფუძველით, რომ იგი დადებულია მხოლოდ ინგლისურ ენაზე სზაკ-ის მე-14 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით (ერთ-ერთი კანონდარღვევა), რომ აღნიშნული გარემოება წარმოადგენს ჩვენი სასარჩელო მოთხოვნის ერთ-ერთ საფუძველს და არა სარჩელის წარდგენის მიზეზს, როგორც ამას სასამართლო მიუთითებს არასწორად. სარჩელის წარდგენის მიზეზი არის ჩვენი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების უხეში დარღვევა, რის გამოც დარღვეული უფლების დაცვის სამართლებრივ საშუალებად გამოვიყენეთ სარჩელის აღძვრა სასამართლოში (აღნიშნულზე დასაბუთება სხვათაშორის წარმოდგენილია სარჩელის შესაბამის გრაფაში - დავის საგანი, რომელიც ასევე არ შეუსწავლია სასამართლოს), თუმცა სასამართლოს მხრიდან ამ პირობებში ხარვეზის დადგენა იმის შესახებ, რომ წარმოსადგენია ქართულ ენაზე შესრულებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის უსაფუძვლო, კანონსაწინააღმდეგო და მეტად აგდებული, ცინიკური დამოკიდებულება მხარის ინტერესებისა.

წინამდებარე სარჩელი შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მოთხოვნებს. კერძოდ:

სსსკ-ის 177.3 მუხლის თანახმად, სარჩელი უნდა უპასუხებდეს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშს და შედგენილი უნდა იყოს ამ ნიმუშში მითითებული წესების დაცვით. სარჩელში სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოსარჩელის მოსაზრებები საქმის თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. მოცემული სარჩელი შედგენილია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშში ასახული კითხვარების მიხედვით, თანმიმდევრობით არის გადმოცემული დავის არსი, სრულყოფილად და თანმიმდევრულად არის გადმოცემული თითოეული ფაქტობრივი გარემოება, ამ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით მოსარჩელის მოსაზრებები, ასევე თანმიმდევრულად არის მითითებული და წარმოდგენილი ამ ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით (იხ. სარჩელი). შესაბამისად, არ არსებობდა წინამდებარე სარჩელის მიღებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული საფუძვლები.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ გასაჩივრებული განჩინება შეიცავს მითითებას ორგანიზაციის წარმომადგენლისათვის (ნათია ქსოვრელი) ფოსტის საშუალებით ხარვეზის შევსების განჩინების ჩაბარების თაობაზე. მაშინ, როდესაც საქმეში არ მოიპოვება წარმომადგენლობის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი. აქედან გამომდინარე, ასევე არასწორია და უკანონო სასამართლოს დასკვნა განჩინების ჩაბარებიდან ხარვეზის (რომლის შევსება უკანონოდ დაგვევალა) შეუვსებლობის თაობაზე. სააკველაციო სასამართლოს ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებასაც, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება საკმაოდ მოცულობითი დოკუმენტია, რომლის თარგმნა და ნოტარიულად დამოწმება დაახლოებით 1000 ლარამდე ღირებულებას შეადგენს. ანუ სასამართლო ამ ოდენობის ხარჯის გაწევას ავალდებულებს უკანონოდ ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას იმისათვის, რომ მიღწეული იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს კანონსაწინააღმდეგოდ განხორციელებული საჯარო უფლებამოსილების აღკვეთა, რაც დაუშვებელია.

გასაჩივრებული განჩინება მხარეს დადგენილი წესით ჩაბარდა 2015 წლის 22 ოქტომბერს, შესაბამისად კერძო საჩივარი წარმოდგენილია კანონით განსაზღვრული 12 დღიანი საპროცესო ვადის დაცვით 2015 წლის 27 ოქტომბერს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ:

1. მიიღოს წარმოებაში კერძო საჩივარი;
2. გააუქმოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 13 ოქტომბრის განჩინება (საქმე 3/6679-15);
3. მოხდეს ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას სარჩელის წარმოებაში მიღება და განხილვა მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი: სულ 1 ფურცელი.

სახელმწიფო ბაჟის (50 ლარი) გადახდის ქვითარი.

პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი